სახალხო გაზეთი

№ 530 სამშაბათი, 21 თებერვალი 1912 წ. № 530

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამით ვაცხადებთ, რომ
,,სახალხო გაზეთს"
ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის წიგნის მაღაზიისა** და ამიტომ ვინც **პირდაპირ ,,სახალხო გაზეთის" კანტორიდან არ იწერს გაზეთს— პასუხსაც არ ვაგებთ**. ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

!სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** გრდემლს.

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.
ხუთშაბათს, 23 თებერვალს,
ზ. ს. ს. ს. წარ. მმართ. წრის მიერ **ვ. აბაშიძის მონაწილეობით** წარმოდგენილ იქნება
1) მალაროს უფროსი მუშა, დრ. 1 მ. თარგ. ნ. გოცირიძისა.
2) აშენდა საქართველო სცენა სტ. ცხ. 3 მოქმედებ.
ბილეთების ფასი 5—50 კ.-დე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
დასაწყისი საღ. 8 ს.
ადმინისტრატორი **ან. ჭიაბერაშვილი.** (3.1006.1) რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

ახალი კლუბი

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით ატყობინებს ბ-ნთ კლუბის წევრთა, რომ, რადგან 16 ამა თებერვალს **არ შესდგა** წლიური საზოგადო კრება, ამიტომ

ინიშნება მეორე საზოგადო კრება

26 ამა თებერვალს, შუადღის 12 საათზე.

1911 წ. ანგარიშისა, 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვის გასაშინჯავად და თანამდებობის პირთა ასარჩევად. (3.1068.1)

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა
აკაკი-ს
თხზულების პირველი წიგნი,
რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრეთვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**
ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და ,,ცოდნა"-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:- ,,კოლხიდის" რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. ,,იმერეთში". ბათომს ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.26)

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქარო ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wass rman. რჩევისათვის 10 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; ,,6 0 6" **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათიანი საფასურით. (წ.—1010—273)

უდიდესი იაფი ვაჭრობა
კიდევ უკანასკნელი 3 დღე 21,22 და 23 თებერვალს
პ. ა. დოროჟნოვის
მაღაზიებში:
1) **უმთავრესი,** სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, **ტელეფონი № 583.**
2) **იაროსლავისა,** მიხეილის ქ., ლიუტერანთა ეკლესიის გასწვრივ, **ტელეფონი № 838.**
რადგანაც დიდ-ძალი ყოველგვარი საქონელი მოგვდის,
უდიდეს იაფ ვაჭრობისათვის.
ათივე სპეციალურ განყოფილებიდან **კიდევ დიდ-ძალი საქონელი დაგვრჩა გაუსყიდავი** და ამისათვის გავაგრძელეთ
უდიდესი იაფი ვაჭრობა უკანასკნელი 3 დღე
ე. ი. 21, 22 და 23 თებერვალს.
მთელის საქონლის გაყიდვისათვის ფასები ძალიან დავწიეთ, **აბრეშუმეულისა და შალეულის განყოფილებაში**
იაფ ვაჭრობის დროს არსებულ ფასებს კიდევ
დავაკელით 20%.
ყველა საქონელზე გასაოცარი იაფი ფასებია აღნიშნული.
უზარმაზარ ფანჯრებში **გამოფენილია ნიმუშები:** საზღაპრო იაფ ფასების აღნიშვნით.
იაფ ვაჭრობის დღეებში ვაჭრობა იწარმოებს დილის 9½—2½ საათამდე და ნაშუადღევის 4 6½ საათამდე.
(2.1114.2.) პ. დოროჟნოვი.

გამოვიდა და იყიდება
ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნის მაღაზიაში
ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების
სალიტერატურო კრებული
გრდემლი
ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.11)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინ
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10 ტელეფ. 792. (თ. 100—1534—94)

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1147 239)

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ფეიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 108)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

გამოცდილმა
მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საზებიდ ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის. **აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, ხამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.
იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).
(თ. 1084.92)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლანოვის ქ., № 20. (წ. 1249 79).

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—47).

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
. ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.
შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
წამლობა ,,606"-ით.
(წლ. 1090 276)

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—100).

ექიმი დ. სურამში აპოლონ ლუკას ძე
ტყემალაძე
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—125—6)

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.49).

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი
მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50--1552-39)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

როძიანკო თავმჯდომარეობდა. მინისტრთა ლოჟაში ვაჭრობის მინისტრია. განაგრძობენ რუსეთში სამეურნეო მანქანების დამზადების გასაძლიერებელ კანონ-პროექტის განხილვას.

განსახილველია მესამე განყოფილება, რომელიც ეხება სამეურნეო მანქანათა ნაწილების და სხვა იარაღთა უბაჟოდ შემოტანას. კომისიებს უთანხმოება მოუვიდათ: საფინანსო კომისია მოითხოვდა მანქანათა ნაწილების ჩამოთვლას. სამეურნეო კი მოითხოვდა იმ ნაწილების უბაჟოდ შემოტანის უფლებას, რომელიც ჩამოთვლილია 167 მუხლის მე-6 პუნქტში.

საბაჟო დეპარტამენტის **დირექტორი** წინააღმდეგია სამეურნეო კომისიის აზრისა.

ანდრეიჩუკი იცავს თავის შესწორებას ცხენის შესაბმელ მანქანათა უბაჟოდ შემოტანის თაობაზე.

შეიდემანი მანქანათა ნაწილები არც ისე ბევრია, სხვა მანქანათა ნაწილებში ვერ გავარჩიოთო.

ვაჭრობის მინისტრი წინააღმდეგია სამეურნეო კომისიის აზრისა და ანდრეიჩუკ-ძიუბინსკის შესწორებისა, რომელნიც მოითხოვდნენ სალეწ და სათიბ მანქანათა უბაჟოდ შემოტანის უფლებას.

136 ხმით 95 წინააღმდეგ სათათბირომ მიიღო სამეურნეო კომისიის წინადადება.

კენჭი უნდა ეყარათ ანდრეიჩუკისა და ძიუბინსკის წინადადებისათვის.

ლერხე წინააღმდეგია ანდრეიჩუკის შესწორებისა. რუსეთს ეხლა სავაჭრო ხელშეკრულების განახლების თაობაზე გერმანიასთან მოლაპარაკება აქვს და შევატყობინოთ, მანქანათა უბაჟოდ შემოტანის მაგივრად რაიმე შეღავათი დავაწესებინოთ გერმანიასაო.

შინგარიოვი. გერმანიასთან ჩვენი ხელშეკრულება ჩვენთვის იმაზე დიდი უბედურებაა, ვიდრე იაპონიის ომი იყოო. ხელშეკრულება მაშინ დაიდვა, როცა რუსეთი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყო. რუსეთის მეურნეობას გერმანიას ვერ დავუმონებთო, კენჭი უყარეს და უარჰყვეს ანდრეიჩუკისა და ძიუბინსკის წინადადება.

კამათი გამოიწვია მეხუთე განყოფილებამ, რომელიც შეეხება სამეურნეო მანქანათა დამზადებისათვის ჯილდოს დანიშვნას.

გულკინი. სათათბიროს საყვედურს ეუბნება, განზრახ უარჰყავით გლეხთა შესწორებანიო. თქვენი პროექტი გლეხის ჯიბის დაცალიერებას ჰნიშნავს საეკონომიო თვალით რო შევხედოთ, საპოლიტიკო მხრივ კი რუსეთი ამ პროექტის წყალობით გერმანელ მანქანათა დამამზადებელ ახალშენად გადაიქცევაო.

ანდრეიჩუკი წინააღმდეგია ჯორთქლით მომქმედ გუთნის დამზადებისთვის ჯილდოს დანიშვნისა.

ბერეზოვსკი 1-ლი აღნიშნავს, პროექტში ნაჩვენები არ არის, რანაირი მანქანებია საჭირო მცხოვრებლებისათვის და ნაირს დააჯილდოვებენო.

შინგარიოვი. ვიდრე რუსეთში საპოლიციო თვალსაზრისი მეფობს, შეუძლებელია კოოპერაციათა გავრცელება და მანქანათა ხმარების შემოღება. რა საჭიროა მალცევისა და კოლომნის ქარხანათა დახმარება. პრემია და პროექტი მცხოვრებლებს არას არგებს და მხოლოდ მსხვილ მემამულეებს ასარგებლებს. სათათ-

ბირო ამისთანა საქმისათვის ფულს ვერ გამოიღებს (მემარცხენენი ტაშს უკრავენ).

ლერხე მომხრეა კომისიის აზრისა, რადგან ჯილდოს დანიშვნით რუსეთს 20 მილიონი დაეზოგება (ცენტრალების ტაში).

ვაჭრობის მინისტრი. კომისიებმა და მთავრობამ საჭიროდ სცნეს ჯილდოს დანიშვნა. პროექტი სრულიად არ დააძვირებს უცხოეთიდან შემოტანილ ლოკომობილებს, არამედ შეძლებას მისცემს რუსის მექარხნეებს ადგილობრივ დამზადებული მანქანები იაფად გაჰყიდონ. თუ კი უცხოეთიდან შემოტანილი მანქანები არ დაძვირდება, სრულიად მეტია მონოპოლიაზე ლაპარაკი. აქ სთქვეს, პროექტი მცხოვრებთა ერთ კლასს დასჩაგრავს და მეორეს დაეხმარებაო. შეუძლებელია წმინდა საეკონომიო საკითხის წოდებრივობის მიხედვით განსჯა. ყველამ კარგად იცის, რომ სახელმწიფოსთვის გუთანი უფრო საჭიროა, ვიდრე ლოკომობილი. მაგრამ პროექტი იმის დახმარების თაობაზე ლაპარაკობს, რასაც რუსეთში არ ამზადებენ.

გუთანს კი ბევრს და კარგსაც აკეთებენ რუსეთში, ტყუილია, ვითომც ჯილდოს დანიშვნა მსხვილ მრეწველთა სასარგებლოდ იყოს მომართული. ბაჟის გაუდიდებლად და უჯილდოოდ ვერ აყვავდება ჩვენში მანქანათა დამზადების საქმე. ამისათვის მინისტრმა მოითხოვა განხილულ განყოფილების მიღება.

გრაფი უვაროვი. დარწმუნებული ვართ, რომ პროექტი მსხვილ მრეწველობას უფრო დაეხმარება, ვიდრე ხალხსა. პროგრესისტების სახელით ვაცხადებ, რომ პროექტის მეორე და მეხუთე განყოფილებას ხმას ვერ მივცემთ.

შეიდემანი. სამეურნეო კომისიამ განიხილა ეს საკითხი და დარწმუნდა, რომ ჯილდოს დანიშვნა აუცილებლად საჭიროა.

მარკოვი მე-2 უპასუხებს შინგაროვს, რომელმაც სთქვა, საშიში არაფერია ახლანდელ მდგომარეობაშიო, სავალალო არ არის განა, რუსეთის ფულის უცხოელთა ხელში გადასვლაო? მოლაპარაკე მომხრეა ჯილდოს დანიშვნისა.

სათათბირომ 141 ხმით 113 წინააღმდეგ მეხუთე განყოფილება უარჰყო.

მეორე განყოფილების თაობაზე მსჯელობას შეუდგნენ. განყოფილება მოითხოვს, გადასახადისაგან სრულიად გაანთავისუფლონ ის ქარხნები რომელნიც ზოგიერთ მანქანებს ამზადებენ.

117 ხმით 71 წინააღმდეგ მეორე განყოფილება უარჰყვეს.

კანონ-პროექტის განხილვა დასრულდა.

სახელმწიფო საბჭო

აკიმოვი თავმჯდომარეობს. ადგილობრივ სასამართლოს განახლების კანონ-პროექტის განხილვას განაგრძობენ.

უშაკოვი. სათემო სასამართლოთა დაცვა საჭიროა იმისათვის მაინც, რომ ცხოვრებაში გატარებულ იქმნენ ის კანონ-დებულებანი, რომელნიც გლეხებს უფლებას აძლევს ადათ-ჩვეულებაზე დამყარებულ სამკვიდროს განაწილებით ისარგებლონ. მხოლოდ სათემო სასამართლოების მეოხებით შეიძლება მომავალშიაც ამ უფლების განხორციელებაო.

კოვალევსკი. საჭიროა სამოსამართლო ფუნქციების საადმინისტრაციოსაგან გამოყოფა. ინგლისში დიდი ხანია მომრიგებელი მოსამართლენი გაანთავისუფლეს საადმინისტრაციო მოვალეობათაგან. თუ ინგლისს წავბაძავთ, წავბაძოთ სავსებით. იმ არსებითი საკითხთა შორის, რომელნიც 1904 წ. უმაღლესად იქმნა აღიარებული, არის წოდებათა განურჩევლობის საკითხიც. განსაკუთრებით კომისიის მოხსენებაში უფრო მეტი მოსაზრებაა გამოთქმული სათემო სასამართლოთა გასაუქმებლად, ვიდრე მათი დაცვის შესახებ. ხალხი სათემო 'სასამართლოს „სამღარიჩო“ სასამართლოს ეძახის. მიუხედავად უარყოფითი დამოკიდებულებისა სათემო სასამართლოთადმი, ხმას მივცემ მუხლობრივ განხილვას.

არსენიევი. საადმინისტრაციო ფუნქციათა სამოსამართლოთაგან გამოყოფა უსაფუძვლოდ მიმაჩნია, ვინაიდან მართველობის დაბალ საფეხურზე ამ ორ ფუნქციათა შეერთება საზარალო როდია; პირიქით ასეთი შეერთება საერობო უფროსებს, სოფლმხედველობას უფართოებს რადგანაც დაახლოვებით აცნობს ადგილობრივ ცხოვრებას; ამის გამო უფრო ადვილად ეჩვევიან იგინი თვითეულ შემთხვევაში სამართლიან გადაწყვეტილების დადგენას. გარდა ამისა საერობო უფროსთა კერძო ცხოვრების თვალყურის დევნება უფრო ადვილია, ვიდრე მომრიგებელ მოსამართლეთა. საერობო უფროსთა ინსტიტუტი არ კი უნდა შევამციროთ, პირიქით უნდა გავაფართოვოთ, თუ მათ სამოსამართლო ფუნქციებს ჩამოვართმევთ, რაღა განსხვავება იქნება მათსა და ბოქაულების შორისო?

ლობანოვ-როსტოვსკი იცავს საერობო უფროსთა ინსტიტუტს და წინააღმდეგია მათგან სამოსამართლო ფუნქციათა ჩამორთმევისა.

სემენოვ-ტიანშანსკი საბჭოს მოაგონებს, თუ როგორ წარმოიშვა მომრიგებელ შუამავალთაგან მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი და როგორ შეიცვალა ეს უკანასკნელი საერობო უფროსთა ინსტიტუტით. ჩემს ხმას, ამბობს იგი, კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს ვაძლევ.

სხდომა დროებით შესწყვიტეს. სხდომის განახლებისას **სტახოვიჩი** განცვიფრებას აცხადებს: საბჭომ კარგად იცის, თუ რამდენი ნაკლულევანება აქვს სათემო სასამართლოს, მაგრამ მაინც ძალაში სტოვებს ამ ფრიად მავნე დაწესებულებას. ერთად-ერთ მოტივად ასეთი ლოგიური შეუსაბამობისა ჩაითვლება სურვილი კანონ-პროექტის უსათუოდ მიღებისა. მაგრამ ეს ხომ თავის თავთან ვაჭრობაა. ქვეყანა დაუყოვნებლივ მოელის რეფორმებს, მასკი ძველი ფილასის საკერებელს აწვდიან. უკმაყოფილება, რომელიც დღეს იგუბება, მალე ამოხეთქს. საბჭო ასეთის მოქმედებით რუსეთის ხალხს ეთამაშება.

თავმჯდომარე. სიტყვას აწყვეტინებს და შენიშვნას აძლევს, ეს საკითხს არ ეხებაო.

სტახოვიჩი აცხადებს, მე უკვე დავამთავრე ჩემი სიტყვაო.

ლევიცკი სათემო სასამართლოს იცავს. სათემო სასამართლო კარგი დაწესებულებაა და მის ნაკლს განებ აზვიადებენ. სათემო მოსამართლეებმა თუ იურიდიული მეცნიერება არ იციან, ეს კიდევ არაფერიაო.

ოლიზარი უმრავლესობის პროექტს იცავს.

ენგელ გარდტი წინააღმდეგია სათემო სასამართლოსი, მაგრამ ხმას უმრავლესობის კანონ-პროექტს მისცემს, რომელშიაც მხოლოდ დროებითი ზომებს ჰხედავს და იმედი აქვს, რომ სათემო სასამართლოები ახლო-მომავალში შეცვლილ იქნებიან წოდებათა განურჩევლად შემდგარ სასამართლოთი.

ზინოვიევი. საერობო ოსამართლენი უფრო მეტ სარგებლობას მოიტანდნენ, სამინისტროს მათგან უფრო სასტიკად რომ მოეთხოვა კანონიერობის დაცვაო. ადმინისტრაციისაგან დამოკიდებულმა სასამართლომ ხალხის გულში ჩაჰკლა პატივისცემა კანონისადმი. მოლაპარაკე მოითხოვს უფრო მეტად შეამცირონ სათემო სასამართლოთა კომპეტენცია.

სტიშინსკი იუსტიციის მინისტრსა და კოვალევსკის უპასუხებს.

გრაფი ვიტტე. 50 წლის წინად, სამოსამართლო რეფორმის შემუშავების დროს, საფუძვლად მიღებულ იქმნა, რომ ყველა სასამართლო უნდა იყვეს თანასწორი, ერთნაირი ყველასათვის და სამოსამართლო უწყების განკარგულებაში. ამ მხრივ სათემო სასამართლოებისთვის დროებით ზოგიერთი გამონაკლისი მიიღეს. 1905 წელს კვლავ აღიძრა საკითხი სათემო სასამართლოების შესახებ და გადასწყვიტეს მათი გაუქმება. მოლაპარაკე ამ აზრს ემხრობა; გლეხობა უკვე მომწიფებულია, რომ მართლმსაჯულების ისეთი ფორმა შეითვისონ, როგორიც თავად-აზნაურობისა, ვაჭრებისა და დაბალ მოქალაქეთათვის იქმნა განხორციელებული.

შემდეგი სხდომა 20 თებერვალს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ გუშინ დილის 5 საათზე **ნაოლაღლევის დეპუტაცია:** ექიმი ქორდოანია, თ-დი ნ. დგებუაძე, ბლალოჩინი ჰალაგანიძე და აზ. მ. ჩარავა წარუდგნენ მეფის მოადგილის თანაშემწეს სენატორ ვატაცის. დეპუტაციამ სთხოვა მას, იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, მომრიგებელი სასამართლო, რომელიც უმიზეზოდ გადააქვთ ს. ბანძაში, ისევ ნაოლაღლევში დასტოვონ. ვატაციმ თანაგრძნობით მოისმინა დეპუტაციის თხოვნა და დაჰპირდა ცნობების შეკრებასა და თხოვნის შესრულებას.

✦ **პ. ს. კოგანის ლექცია** 2 მარტს გაიმართება სახაზინო თეატრში. წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „ქალთა კითხვა დასავლეთისა და ჩვენს ლიტერატურაში“. მეორე ლექციას 8 მარტს წაიკითხავს „ჰამლეტზე“.

✦ **კახეთის მევენახეთა ამხანაგობას „კახეთს“.** თავად-აზნაურთა სადეპუტატო საბჭომ 40,000 მან. მისცა სესხად.

✦ **გეორ სურენიანცი,** რომელიც სრულიად სომეხთა ქათალიკოსად იქმნა არჩეული, ტფილისში მოსულ კერძო დეპეშის ცნობით, უკვე დაუმტკიცებიათ ამ თანამდებობაზე.

✦ **ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი** 19 თებერვალს პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ფრენა,** რომელიც დანიშნული იყო კვირისათვის, არ შესდგა ქარის გამო.

✦ **ხორცის ახალი ნიხრი** გუბერნატორმა გუშინ დაამტკიცა. გირვანქა ძროხის ხორცი 14 კ. უნდა გაიყიდოს, ხოლო ცხვრისა—16 კ.

✦ **თავის მოკვლა.** 18 თებერვალს, დილის 11 საათზე, ამიერკავკასიის რკინის გზის მე-292 ვერსტზე, ოსიპოვის მისახვევის პირდაპირ, რკინის გზის მატარებლის ორთქმავალს ძალად ჩაუვარდა ხარკოვის გუბერნიის მცხოვრები გიორგი ივანეს ძე ტრეტიაკოვი, რომელსაც ორთქმავალმა თავი მოსწყვიტა. ტრეტიაკოვს ბინა არა ჰქონდა და უსაქმოდაც დაიარებოდა.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 19 თებერვალს თავი მოიწამლა ქრაკერვის სკოლის მოსწავლე ქალმა ანნა ალექსანდრეს ასულმა ხარხელამ. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. მისი მდგომარეობა საშიში არ არის.

✦ **გულქვა დედა.** 17 თებერვალს მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს გონება დაკარგული ბავშვი, ალექსანდრე ზანეცკი, 5 წლისა. 18 თებერვალს ბავშვი ტანჯვა-წვალებით გარდაიცვალა. პოლიციის ცნობით, ბავშვი განზრახ მოუწამლავს თავის დედას, მზარეულ ქალს ტატიანა პავლეს ასულ ზანეცკაიას, რომელიც ოლგის ქუჩაზე სახლში № 13 ცხოვრობს. ტატიანა ზანეცკაია შეიპყრეს და შემდეგი განაცხადა: ბავშვი მოვწამლე ჩემის საყვარლის, ფერშალ პავლე ადამის ძე სემილონოვიჩის ჩაგონებითაო. საწამლავი თვითონვე მომიტანაო. ამასთანავე განაცხადა, ამგვარისავე საწამლავით ექვსის თვის წინად აღბულაში ჩემი ქმარი მოვკალიო. სემენოვიჩი და ზანეცკაია გამომძიებელს გადაეცნენ.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ **ივანე ნიკოლოზის ძე მახარაძე** (სტოლიარი), [illegible] 13 თებერვალს გამოვიდა სახლიდან და წავიდა წინა დღით გაყიდულ კამოდების ფულის მისაღებად.—იმ დღიდან დაიკარგა და არავინ იცის სად იმყოფება, ან რა მოუვიდა.

✦ 18 თებერვალს გრაფის ქუჩაზე მდებარე დუქანში ჩხუბის დროს ანდრია ტოლოშვილმა დანით დასჭრა ალექსანდრე მჭედლიშვილი. ტოლოშვილი შეიპყრეს.

✦ ტფილისში უგზოკვლოდ დაიკარგა არგიპოს შეველევი.

✦ 18 თებერვალს ტფილისში შეიპყრეს 91 უპასპორტო, 19 თებერვალს-33.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **„ესპერანტო“-ს საზოგადოების** კრება 19 თებერვალს მოხდა. საზოგადოების გამგეობის წევრად არჩეულ იქმნენ ა. არ. ფიშერი, ლ. ოჰანეზოვი, ბ. ნ. ტორკარევი, ვ. მ. ოსიპიანცი, გ. ვ. შვარცი, ნ. ს. კარნილოვი და ო. დე-მეზერი. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: პ. კ. ვერესოვი, ი. ა. იანკოვსკი და ვ. პისარევი. კრებამ მსჯელობა იქონია საერთაშორისო ენის „ესპერანტოს“ 25 წლის არსებობის აღნიშვნის თაობაზე და დაადგინა, დღესასწაული მაისსა, ან ივნისში გადაიხადოს. საიუბილეო კომისიაში არჩეულ იქმნა 7 კაცი. საზოგადოებას, როგორც კრებაზე წაკითხულ ანგარიშიდან გამოირკვა, 1911 წელს 1011 მან. 36 კ. შემოსავალი ჰქონია, ხოლო ხარჯი 694 მან. 95 კ. დარჩენია 316 მან. 41 კ.

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის** კრება 22 თებერვალს მოხდება.

✦ **ახალ კლუბის** წევრთა საზოგადო კრება კვირას, 26 თებერვალს მოხდება. კრებამ უნდა განიხილოს კლუბის წარსულის წლის ანგარიში და ახალი მამასახლისები აირჩიოს.

ქუთაისი.

✦ **ქუთაისის ქარ. დრ. საზოგადოება** გაზაფხულის ზეზონს დაიწყებს 19 მარტიდგან და გასტანს: 20 მაისამდე. გამგეობა ეხლა შეუდგა დასის მოწვევას.

✦ ქუთ. დრ. საზოგადოების გამგეობას სურვილი აქვს ამავე საზოგადოების **წევრთა საზოგადო კრება** მოიწვიოს თებერვლის დამლევს.

✦ **საოპერო დასმა ქუთაისში** შაბათს დაასრულა გასტროლები, ორთაშუა თითო წარმოდგენაზე აიღეს 575 მ. დასი გაემგზავრა ბათომში.

ოზურგეთი

✦ წარსულ პარასკევს სასულიერო სკოლის მასწავლებლის სადგომში პეტარდა გასკდა. ხმა დადის რომ ამ სასწავლებელს ახლო მომავალში დაჰხურავენ. 17 ათასი მანეთი რომელიც ახალ სადგომის ასაგებად იყო გამოგზავნილი უკან წაიღ[illegible]. ამ დღეებში მოელიან რევიზორს, რომელიც სინოდიდან არის დანიშნული.

ზესტაფონი

✦ ზესტაფონში, ალის უენის **სკოლის დაწვის გამო** ჩამოვიდა სახალხო სკოლების დირექტორი. როგორც გამოირკვა სკოლის დაწვის მიზეზი იყო მისი გადატანის გამო გავრცელებული ხმა. დირექტორი, სხვათა შორის, გამოიძიებს ინციდენტს რომელიც მოხდა სამოქალაქო სკოლის ინსპექტორის გ. ბეჟანოვის და მასწავლებელთა შორის.

✦ წ. კ. გ. ს. ზესტაფონის განყოფილებამ თხოვნით მიმართა გუბერნატორს, რათა მან ნება დართოს ზესტაფონში **სათეატრო შენობის ასაგებად ფული შეაგროვონ.**

✦ ზესტაფონში 10 მარტს ვასო ურუშაძე გამართავს პირველ **იუმორისტულ საღამოს,** ითამაშებენ „ლალატს“, შარჟი 2 სანახავათ ემმაკის და თაგუნას მიერ გადმოკეთებულს. სხვათა შორის მონაწილეობას იღებს გრიშაშვილი.

პროვინცია

✦ **ზემო-გომი** (ქართლი) 26 თებერვალს, შუადღის 12 საათზე სოფ. ზემო-გომში დანიშნულია **კრება ადგილობრივ მეურნეთა.** ქართლის აგრონომი ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას გააცნობს დამსწრეთ წესდებას. საზოგადოების წესდების და მის მოქმედებას. მოხსენების შემდეგ გაიმართება აზრთა გაზიარება. კრება დანიშნულია აგრონომის სადგომში, პეტრე-პაპუაშვილის სახლში.

დეპეშები

პეტერბურგი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

„რეჩ“-ს ატყობინებენ, რომ გერმანიის სოციალისტებმა მოითხოვეს მეორე სათათბიროს დეპუტატთა საქმის გადასინჯვა ხალხის თანადასწრებით. 23 თებერვალს ბერლინში საგანგებო მიტინგის გამართვას აპირებენ.

პეტერბურგი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

„ნოვოე ვრემია“-ს ტფილისიდან დეპეშით ატყობინებენ: ქალაქის ფინანსები საშიშ მდგომარეობაშია. მოსალოდნელია ექვსასი ათასი მან. დეფიციტი, ამიტომ ძალიან საეჭვოა, ქალაქსა მართლა აღმოუჩინოს ტფილისის უნივერსიტეტს დაპირებული დახმარება. ასეთივე მდგომარეობაშია ბაქო, ბათომი და ქუთაისი. ამიტომ ტყუილია ის ცნობა, ვითომც ტფილისის უნივერსიტეტს ადგილობრივ დიდ დახმარებას მისცემენ, რის შესახებაც სწერს კომიტეტის თავმჯდომარე.

ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციის სამართალში მიცემა

კავკასიის ნამესტნიკმა სენატში ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციის მთელი შემადგენლობის სამართალში მიცემის თაობაზე საკითხი აღძრა. 1906—1907 წ. ნამესტნიკის საბჭომ გადასწყვიტა სვანეთის ერთ გაუვალ ადგილზე მთის გზის გაყვანა, რომელსაც ლეჩხუმის და ზუგდიდის მაზრები ქუთაისის მაზრასთან უნდა შეეერთებინა.

საბჭოს დადგენილებით, ქუთაისის ადმინისტრაციას იჯარით უნდა გაეცა ამ გზის გაყვანა. საგუბერნიო ადმინისტრაცია კი გუბერნატორ სლავოჩინსკის მეთაურობით სულ სხვა რიგად მოიქცა: მან სამეურნეო წესი აირჩია და გზის გაყვანა გამოუცდელ ტეხნიკს გეიერს მიანდო. ამისი შედეგი ის იყო, რომ დანიშნულ ვადაზე არც ერთი ნაწილი მზად არ იყო და გაკეთებული გზაც ხშირად ფუჭდებოდა და შეკეთებას ჰსაჭიროებდა. გადაღებული თანხა 112.000 მანეთი ერთს წელიწადში დაიხარჯა. საგუბერნიო ადმინისტრაციამ ნამესტნიკის საბჭოში საკითხი აღძრა თანხის მომატების შესახებ, მაგრამ ნებართვას აღარ დაუცადა და თვისის ნებით საგუბერნიო თანხიდან ამ საქმეს ჯერ 60.0000 მანეთი მოახმარა, შემდეგ კიდევ 30.000 მანეთი.

ნამესტნიკის საბჭომ გამოძიება დანიშნა, გაგზავნილმა კომისიამ, რომელმაც საამშენებლო წესების სრული დარღვევა აღმოაჩინა; ცხადი იყო, რომ გეიერს მინდობილ საქმისა წარმოდგენაც არ ჰქონდა, რადგანაც გეიერი მოჰკლეს, გადასწყვიტეს გზა როგორც იქნებოდა დაემთავრებინათ. ნამესტნიკის საბჭომ წინადადება მისცა გუბერნიის ადმინისტრაციას საპიორებთა დახმარებით დაემთავრებინათ გზა, მაგრამ მან უარი განაცხადა [illegible] დახმარებაზე.

ამის გამო ნამესტნიკი სთხოვს სენატს, პასუხისგებაში მისცეს ქუთაისის გუბერნატორი სლავოჩინსკი, ვიცე-გუბერნატორი მაკაროვი, „სოვეტნიკები“, მდივნები და საქმის მწარმოებელნი ქუთაისის საგუბერნიო მმართველობისა; პირველნი უკანონო მოქმედებისათვის, მეორენი დამატებითი თანხის გადადების ქაღალდზე ხელის მოწერისათვის, როგორც დეპეშით გვაუწყეს სენატმა პასუხი მოსთხოვა ქუთაისის გუბერნატორს გენერალ მაიორ სლავოჩინსკის.

ნავთი გურიაში.

(სამხთო, მიქელ-გაბრიელის საზოგადოება). შარშან ზაფხულში სამხთოს ნავთის ნიშნებმა ფართე საზოგადოება აარიალა. სამხთოს „გაბაქოება“ სალაპარაკო თემად გადაიქცა. მთელი გურია ფეხზე დადგა; დიდსა და პატარას ნავთის შადრევანები ეზმანებოდა. — მილიონების მოლოდინში პირზე ნერწყვ მომდგარი ვაჭრები ციდან ვარსკვლავებსა ჰკრეფდნენ. სასიხარულო ამბავი გაზეთებსაც ელვის სისწრაფით მოედო. სამხთოს ნავთის შესახებ არა თუ ქართულს, რუსულ გაზეთებშიაც საწუგეშო ცნობები დაისტამბა. სამხთოს დასათვალიერებლად ცნობის მოყვარე ხალხი შორეულ ქალაქებიდანაც მოდიოდნენ. ყველა ეს მოხდა შარშან ზაფხულს, ექვსიოდე თვის წინად. ზაფხულს მოჰყვა შემოდგომა, ზამთარმაც მოატანა და, როგორც ჩვენში ხშირად ხდება, ხოლმე, სამხთოს ნავთის ამბავიც ანთებისაგან მიბნედილ ავათმყოფივით მიილულა, მისუსტდა და [illegible] სრულიად მიწყნარდა.

რა მოხდა? ნუ თუ სამხთოს ნავთის გარშემო ატეხილი ფაცა-ფუცი, განძრახ მოჭორილი ამბავი იყო?.. ნუ თუ სამხთოს ნავთმა ჩაილულის წყალი დალია?...

არა, თუ კი სამხთოელებს ოდესმე ნავთის აღმოჩენის იმედი გვქონდა, ეს იმედები ეხლა გაორკეცებული გვაქვს, და თუ აქაური ნავთის საქმე ამოტივტივებისთანავე მიიჩქმალა, ამას თავისი მიზეზები აქვს. ამაზე ქვევით მოგახსენებთ. ეხლა კი სოფ. სამხთოს მადნეულობათა მოკლე ისტორიას გადმოგცემთ.

ხალხში გარდმოცემაა დარჩენილი: ამ სოფელს იმიტომ დაერქვა სამხთო, რომ ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა აქ დაიბღერტაო. სოფელი გაშენებულია გორაკებით დასერილ ფერდობებზე. ბუნება თვალწარმტაციოა; **ფორთოხალი და ლიმონი** გაშლილ ჰაერზე ხარობს. თვალწარმტაც ბუნებასთან სამხთო მადნეულობის [illegible] ითვლება. არის აქ **ასფალტის** გორები. კარგი დამმუშავებელის ხელში ამ მადანსაც კარგი სარგებლის მოცემა შეუძლია ერთხელ ხარშავდნენ კიდევაც და ბლომად ეზიდებოდნენ რუსეთისაკენ. დიდიხანი არაა, რაც აქ **მთის ფისის** ზოლიც აღმოაჩინეს, ათიოდე წლის წინად ფისის დამუშავებას შეუდგა ერთი ინგლისელი ამხანაგობა; რამდენიმე ათასი ფუთი წმინდა ფისი ამოიღეს; საქმეს გაფართოებას მოელოდნენ, მაგრამ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოუსწრო და მუშაობა შეჩერდა. ვინ იცის, ადვილად შეიძლება მიწის სიღრმეში ამ ძვირფასი მადნის გორებიც იყოს, მოიპოვება სამხთოში **ქვა-ნახშირის** ნიშნებიც. შეიძლება გამოკვლევამ სხვა მადანიც აღმოაჩინოს. ჯერ-ჯერობით კი ყველაზე მეტად საყურადღებო სამხთოს **ნავთის** ნიშნებია. თუმცა ნავთის ნიშნები მთელ დასავლეთ გურიაში მოიპოვება, მაგრამ ყველაზე უფრო [illegible] სამხთოს [illegible]. ფეხს ვერსად გადასდგამ, რომ ნავთის ნიშნებს არ წააწყდე. მიწიდან ამოდიან შავი სითხისაგან შემდგარი ნაკადულები, რასაც სამხთოელები „კუპრს“ ეძახიან. კუპრი იგივე მაზუთია, ნელა იწვის და მყრალს სუნს ავრცელებს. ძველს დროში სამხთოელები კუპრს სანათად ხმარობდნენ. ამისათვის კუპრს ჯამზე ასხავდნენ, შიგ ფითილს უდებდნენ და ანთებდნენ. ამ ნაირად კუპრი ნავთის მაგიერობას სწევდა.

კუპრს ხალხის თვალში ეხლაც აქვს მნიშვნელობა: სოფლელებს სჯერათ, რომ კუპრში ამოთხუპნულ საქონელს ავი თვალი არ მიეკარებაო. ამიტომ აქ ხშირად შეჰხვდებით, რომ საქონელს გავაზე კუპრის ჯვარი აქვს დასმული.

კუპრის ნაკადულების სიხშირის გამო ს. სამხთოს ერთ კუთხეს უძველეს დროიდან „საკუპრე“ დარქმევია. სწორედ ამ საკუპრეზე 35 წლის წინად ნავთის აღმოსაჩენად მუშაობა დაიწყო ვიღაც პრინცმა. იმ დროს ჩვენში ნავთის აღმოჩენა საზღაპრო ამბავად მიაჩნდათ. ნავთის საქმე ჩვენში ჯეროვნად შესწავლილი ეხლაც არაა. მაშინ ხომ სრულებით არავითარი გამოკვლევა არ მოიპოვებოდა. მუშაობისათვის საჭირო მანქანები თუ სადმე მოიპოვებოდა, უგზოობისა გამო მოტანა ყოვლად შეუძლებელი იყო. დიდის ვაი-ვაგლახით დედამიწა 60 საჟენამდე ჩაბურღეს; ნავთი, რა თქმა უნდა, ვერ აღმოაჩინეს და მუშაობაც შესწყდა. იმ ადგილას, თითქო სამხთოს ნავთიან ნაკადულებს სდარაჯობსო, დღემდის მიწის სიღრმიდან ეხლაც მოსჩანს მოზრდილი რკინის მილი.

მერე მე-90 წლებში ნავთის საქმე განაახლა ერთმა ამერიკელმა ამხანაგობამ. ამ დროს რკინის გზის შემწეობით საჭირო მანქანების მოზიდვა შესძლეს. საქმე შედარებით კარგად მიდიოდა. იმედი ჰქონოდათ, საცაა ნავთიც ამოხეთქსო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, სანავთე ჭაში რაღაც რკინა ჩაუვარდათ, რკინის ამოღება ვერ მოახერხეს (თუ განგებ არ მოისურვეს, ალლახმა უწყის) და მუშაობა შესწყდა. არ ვიცი რამდენად მართალია, მაგრამ ხალხში ეხლაც დაჟინებით ამბობენ, ამხანაგობის მმართველმა, ვიღაც მაკარტიმ, მუშაობის ჩაშლის სანაზღაუროდ ბაქოელ კაპიტალისტებისაგან კარგა მოზრდილი ლუკმა მიიღოო!

ამის შემდეგ სამხთოში მუშაობა არავის უკისრნია, თუმცა ნავთის საქმე სრულიად დავიწყებას არ მისცემია. სამხთოში თითქმის ყოველწლივ მოდიოდნენ სხვა და სხვა ფირმების წარმომადგენელნი და მადნეულობათა საექსპლოატაციოდ მიწებს იიჯარებდნენ. ამის შემდეგ მოიჯარადრე თავისთვის მიდიოდა, შემდეგი წლების საიჯარო ფულს აღარ იხდიდა და მიწა თავის-თავად თავისუფლდებოდა. მაგრამ ამ დროს მეორე მოიჯარადრე მოუსწრებდა და მიწის პატრონი ხელახლ პირობას სწერდა... ასე გავიდა თითქმის 20 წელიწადზე მეტი. სოფლელებს მიწის დაიჯარება ჩვეულებად გადაექცათ; თუ სოფელში შორიდან მოსულ ქუდოსანს შენიშნავდნენ, „ინჟინერად“ ნათლავდნენ და საიჯაროდ მიწას სთავაზობდნენ; „რა უშავს, ძმავ, ინჟინერებს ფული თავზე საყრელად აქვთ, ჩვენც გვაძლიონ ამ გვიმბრალოშიო“! გულუბრყვილოდ ოხუნჯობდნენ სოფლელები. იმას კი არავინ დაგიდევდა თუ რა სარგებლობას ხედავდნენ სხვა და სხვა ჯურის „ინჟინერები“ უვარგისად აღებულ „გვიმბრალაში“.

1911 წლის დამდეგს სამხთოელებს გვეწვია ვიღაც ლევინი, რომელსაც ბაქოელ მრეწველის რილსკის რწმუნების ქაღალდი ჰქონდა და მიწების დაიჯარებას შეუდგა. ბ-ნ ლევინის მიერ დაქირავებულმა წვრილ-ფეხა მაკლერებმა მაშინვე განგაში ასტეხეს: „ამნაირი მოიჯარადრე ჯერ ჩვენში არ გვეყოლებია, ერიქათ, მიწა არავის დაგრჩეთ დაუიჯარებელიო“.

სოფლელებიც ბუზივით დაეხვივნენ ბ-ნ ლევინს. ყველა ცდილობდა თავისი ხვედრი „გვიმრალა“ დაეიჯარებინა და „ინჟინერის“ ფულები ჩაეჯიბა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ სამიოდე დღის განმავლობაში რამდენიმე ასი დესეტინა საუკეთესო ნავთიანი მიწები გადავიდა მრეწველ რილსკის მფლობელობაში. მე აქ არ გამოუდგები იმის დაფასებას,

როგორ პირობებში ჩაითრია ხალ- ბ-ნმა რილსკიმ. ვიტყვი მხოლოდ, მ თუ სამხთოში ნავთმა ამოხეთქა, პირობებს ჩვენი შვილები და ილიშვილები დააფასებენ.

რილსკისაგან მიწების დაიჯარები- ანავე ჰაერი შეიცვალა. მაშინვე ნა- ის აღმოსაჩენად მუშაობის დაწყე- ზე მორთეს ლაპარაკი. გაჩნდნენ არეველი მსხვილი და წვრილფეხა იჯარადრენი. ისინი გასცილდნენ მხთოს საზღვრებს და მიწები აიღეს, როგორც მიქელ-გაბრიელის, ისე არქეთის, ჩოჩხათის და ჯუმათის ზოგადოებებშიაც. შარშან გაზაფხულის მიწურულში ბ-ნი რილსკი სინჯავად მიწის ბურღვას შეუდგა. რთ ადგილას ბურღვის დროს 9 სა- ნის სიღრმიდან მაზუთმა ამოხეთქა. მა რილსკიმ მუშაობას თავი მიანება, ს მცველები მიუჩინა და ისევ მი- ების დაიჯარებას შეუდგა. სწორედ გახლდათ სამხთოს ნავთის შე- ხებ ახმაურების მიზეზი.

როცა ახლო-მახლო მდებარე მი- ების უმეტესობა ჩაიგდო ხელში, ნმა რილსკიმ მუშაობა განაახლა. 2-დე საჟენის ჩაღრმავების შემდეგ აზუთმა დენა შესწყვიტა, რადგანაც ის მილს გვერდზე მოექცა. შემო- გომის დამდეგს მუშაობა შეჩერდა. ომოჩნდა, რომ ბ-ნ რილსკის სამთა- ადნო სამართველოში საჭირო სა- უთები ვერ წარედგინა და ამიტომ უბერნატორის განკარგულებით მუ- შაობა აეკრძალათ.

ხელახალი მუშაობა წარსულ წლევს დაიწყო. 20 საჟენის სიღრმიდან მაზუ- ომა კვლავ იჩინა თავი. ამ ჟამად ჭის სიღრმე 30 საჟენს აღემატება, მაგრამ მაზუთს დენა არ შეუწყვეტია. ფიქრობენ 50 საჟენამდე ჩახვრეტონ ჭიდამიწე და შემდეგ ვიშკა დასდგან. დაუიჯარებელ მიწების ფასმა ისევ აიწია. შარშანდელთან შედარებით იჯარის ფულს ერთი ორად მეტს იძლევიან. პირობებიც მიწის მეპატრონეთათვის უფრო ხელსაყრელია. სამხთოელები კარგს გუნებაზედ არიან. უსურვოთ, რომ სამხთოს „გაბაქოება" ოცნებად არ დარჩენილიყოს..

ი. წუწუნავა

ბაქო და ქალაქის თავი

(წერილი ბაქოდან)

1 თებერვალს მოხდა ბაქოს ქალაქის ახალ საბჭოს პირველი სხდომა, ხოლო 14 თებერვალს უნდა მომხდარიყო ქალაქის თავის არჩევნები. არჩევნები აღარ მოხდარა, მაგრამ ძველმა ქალაქის თავმა ბ-ნმა რაევსკიმ კი თანამდებობას თავი დაანება. მკითხველი ვერაც კი წარმოიდგენს, რა მოუთმენლად მოელოდა მთელი ბაქო ამ დღეს. დიდი ლაპარაკი, მითქმა-მოთქმა და აგიტაცია იყო ქალაქის თავის არჩევნების გამო. არჩევნებამდე ორი კვირის განმავლობაში ბაქოელებმა, იმათ, რასაკვირველია, ვისაც თვით-მმართველობამდე ხელი მიუწვდება,—ყველაფერი დაივიწყეს და სცილობდნენ მხოლოდ გამოეცნოთ—ქნება თუ არა ხელ-ახლა რაევსკი არჩეული.

ძველ ქალაქის საბჭოს სამსახურის ვადა ერთი წლის წინად გაუთავდა. მას შემდეგ ორჯელ მოხდა ხმოსნების არჩევნები და, როგორც მკითხველს მოეხსენება, ორჯელვე გაუქმდა. ამომრჩეველთა უმრავლესობას ბაქოში თათრები შეადგენენ: სენი ნახევარზე მეტნი არიან. სომხები და რუსები არჩევნების დროს ერთდნენ და შეკავშირდნენ, მაგ- ამ თვით არჩევნების დღეს სიტყვა ასუსულებს, შავი კენჭები მოი- ჯვეს და ერთმანეთი გააშავეს. ან და სხვა მიზეზებმაც ის ნაყოფი იტანა, რომ მთავრობამ პირველი რი არჩევნები გააუქმა და თანაც ადგინა ძველი კანონი, ამ რამდე- მე წლის წინად გაუქმებული. ამ ნონის ძალით მაჰმადიანთა უფლება ზღუდულია: მათ არ შეუძლიათ სნეთა საერთო რიცხვის ნახევარ- მეტი აირჩიონ. ქალაქს [illegible] მოელოდა. შესაძლოა რომ არ მხდარიყო არჩევნები, ხმოსნებს მინისტრაცია დანიშნავდა. ამიტომ არჩევნებისთვის სამი ერის წარმომადგენელნი ასე შეთანხმდნენ: ნახე- ი თათარი უნდა აერჩიათ, მეორე ევარი—თანასწორად რუსი და სო- ი. ამ რიგად დღეს ქალაქის საბ- ში არის: 40 ხმოსანი მაჰმადიანი, —სომეხი და 18 რუსი (რუსების ცხვში ერთი ქართველი, თავ. და- ანი). ამათ გარდა ერთიც სამღვდელოების წარმომადგენელია—სულ 81 ხმოსანი. სხვათა შორის ხმოსნად მოჰყვა ქრისტეფორე ვერმიშევი, ტფილისის ქალაქის თავად ნამყოფი და ეხლა კი „ბაკუ"-ს რედაქტორი. იგი კანდიდატად აირჩიეს, მაგრამ ქალაქის საქმეთა საკრებულომ ზოგიერთი ხმოსნის არჩევანი კანონიერად არა სცნო და ამათ ნაცვლად ხმოსნებად ჩასთვალეს კანდიდატები—ქრ. ვერმიშევი და კონსტანტინე ხატისოვი, ძმა ტფილისის ქალაქის თავისა.

ახალი საბჭო ძალიან განირჩევა ძველისაგან. ძველში დიდ უმრავლესობას თათარი შეადგენდა, ამასთან უმეტესად სრულიად უსწავლელი თათარი. ახალში თათარი ნახევარია და ამ ნახევრიდანაც ბევრია უმაღლეს და საშუალო სწავლა დამთავრებული. დღემდე აქაური თათრობა მეტად სუსტი იყო ინტელიგენტური ძალებით. მაინცა და მაინც არც ეხლაა მაგრე რიგად მდიდარი, მაგრამ მაინც წინანდელთან შედარებით შესამჩნევი წარმატებაა. ყოველ წელიწადს მრავალი ახალგაზდა ათავებს უნივერსიტეტს და საზოგადო საქმის ფერხულში ებმება. იმ ბრძოლას, რომელიც თათრებსა და სომხებს შორის მოხდა, სხვათა შორის ის შედეგიც მოჰყვა, რომ მაჰმადიანებმა, თვით უკიდურესმა ფანატიკოსებმაც კი, ერთბაშადვე შეიგნეს ევროპიულ განათლების საჭიროება; შეიგნეს, რომ ერის ეკონომიურ და კულტურულ ბრძოლაში ყველაზე უფრო საჭიროა თანამედროვე ცოდნით და იარაღით აღჭურვილი ხალხი, ყველამ სასწავლებელს მიაშურა. დღეს თათრები ამ შეგნების ნაყოფს იმკიან და მალე დადგება ის დროც, როდესაც ყველა დარგისთვის, ყველა საქმისთვის მათ საკუთარი სპეციალისტები ეყოლებათ.

ძველ საბჭოში უსწავლელი ხალხი, რა თქმა უნდა, საქმეებს ხეირიანად ვერ წაიყვანდა. მთელი საბჭო ორი-სამი კაცის ბრძანებას ემორჩილებოდა, რაკი თითონ არავინ ჰყავდათ, ქალაქის თაობა სთხოვეს ცნობილ საერობო მოღვაწეს შიპოვს, სთხოვეს აგრეთვე ნ. ნიკოლაძეს, ჯამაგირიც დიდი შეაძლიეს, მაგრამ ორივემ უარი განაცხადა. ბოლოს კურსკიდან მოიწვიეს ბ-ნი რაევსკი და წელიწადში ოცი ათასი მანეთი (20,000) დაუნიშნეს.

ოთხი წელიწადი იყო რაევსკი ქალაქის თავად და წელს ვადა გაუთავდა. მერე, რა გამოირკვა? გამოირკვა, რომ ბ-ნი რაევსკი ყველასათვის აუტანელი გახდა. 14 თებერვლის კრებამ მეტად ნათლად და აშკარად გამოაარკვია ეს. არა თუ ხმოსნები, დამსწრე საზოგადოებამაც კი, გარეშე ხალხით სავსე უზარმაზარმა დარბაზმა თავისუფლად ამოისუნთქა; როდესაც გამოაშკარავდა, რომ რაევსკი ქალაქის თავად აღარ იქნება.

მეგობრები მრავალი ღირსებით ამკობდნენ რაევსკის. ამბობდნენ: თავიანი კაციაო, ინიციატივის მქონე, არაჩვეულებრივი შრომის მოყვარე, მეტად პატიოსანი და სხვა. შეიძლება მართლაც იყოს ყველა ეს, მაგრამ, როგორც ეტყობა, ნაკლმა დასძლია ღირსებას, რომ მთელ საბჭოში რაევსკის მომხრე ოთხი წლის მოღვაწეობის შემდეგ რაღაც 15—20 კაცი აღმოჩნდა.

ბაქოში ფეხის შემოდგმისთანავე რაევსკიმ თავისი თავი ქალაქის სრულ ბატონად და პატრონად წარმოიდგინა. არავის აზრს არაფრად აგდებდა: არც საბჭოსას, არც გამგეობის წევრებისას, არც სხვა მოსამსახურეებისას. ყველაფერს თავის ნებასა და სურვილზე აკეთებდა. ქალაქის თვითმმართველობა, მოგეხსენებათ, კოლეგიალური დაწესებულებაა, მაგრამ ბაქოში კოლეგიის წევრნი ხშირად გაზეთებიდან გაიგებდნენ ხოლმე, რომ თვითმმართველობამ აქა და აქ (კავკასიის გარედ, შიდა რუსეთში) შეუკვეთა ესა და ეს საქმეო (ხშირად ისეთი საქმე, რომელსაც ათი და ასი ათასი მანეთები უნდოდა), რადგან რაევსკი უმეტესად ამხანაგების დაუკითხავად სწყვეტდა საქმეს ყველას მოწმობით, პირველი და უმთავრესი ნაკლი რაევსკისა ეს იყო.

რაევსკი დიდი მომხრე იყო თავის ნაცნობ-მეგობრებისა. თვე არ გაივლიდა ისე, რომ რუსეთიდან, უფრო კი კურსკიდან კაცი არ დაებარებინა. ამასთან ამათ ერთი სამად და ოთხად მეტ ჯამაგირს უნიშნავდა. დაიბარა გამგეობის წევრი, მთავარი ექიმი, მთავარი არქიტექტორი, რამდენიმე მდივანი და სხვანი. ასე გასინჯეთ, მებაღეც კი იქიდან უნდოდა მოუყვანა; მეტიც: აზრად ჰქონდა კურსკიდან დაებარებინა ევრედ წოდებული „ბურღვის მასტერი", მაშინ, როდესაც ამ ჯურის ოსტატები ბაქოს გარდა არსად მოიპოვებიან მთელ რუსეთში; მთავარ არქიტექტორად ინჟინერ-ქიმიკოსის დანიშვნა და სხ.

მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც ერთხმად მოწმობდნენ, რომ რაევსკი მეტად უკმეხი და აუტანელი ხასიათის კაცი იყო. ოთხი წლის განმავლობაში გაულანძღავი არავინ გადარჩენია. ლანძღავდა ხმოსნებს, გამგეობის წევრებს, მოსამსახურეებს, საქმეზე მისულ მოქალაქეებს—ერთი სიტყვით ყველას, ვისაც მასთან რაიმე საქმე ჰქონდა. ღვთის წყალობა რომ გეთქვათ, ღვთის ცეცხლით გისტუმრებდათ. რას იზამთ: დაბადებიდან ასეთი ხასიათი აქვსო, ამბობდნენ მისი თაყვანისმცემელნი. კარგია, თქვენმა მზემ: უზრდელობა გამართლო იმით, რომ ეს კაცი პატარაობიდანვე უზრდელიაო. არც ეს არის მართალი: დარწმუნებულნი ვართ, რომ იგივე რაევსკი არასოდეს უზრდელად არ მოექცეოდა თავისს პირდაპირ უფროსს, მაგალითად ბაქოს გრადონაჩალნიკს, თუმცა მასთან ხშირად ჰქონდა საქმე. მაშ თუ უფროსთან შეეძლო თავის დაჭერა, თავისს ტოლთან და უმცროსთან რაღათ უძნელდებოდა? ასეთი კაცის ატანა შეეძლო მხოლოდ ძველ საბჭოს და არა ახალს. რაევსკის წინააღმდეგნი მარტო სომხები და რუსები არ იყვნენ—არ უნდოდათ რაევსკი თათარ ხმოსნებსაც. 14 თებერვალს მოხდა კერძო თათბირი თათარ ხმოსნებისა. 40 ხმოსნიდან 25 რაევსკის წინააღმდეგი აღმოჩნდა და რადგან წინდაწინვე პირობა ჰქონდათ დადებული, რომ უმცირესობა უმრავლესობის აზრს მიმხრობოდა,—ყველანი რაევსკის წინააღმდეგ უნდა წასულიყვნენ.

საბჭოს სხდომას, 14 თებერვალს, როგორც ვთქვით, დიდძალი ხალხი დაესწრო. პირველად განიხილეს მოხსენება გამგეობის წევრთა რაოდენობის შესახებ. დღეს ოთხი წევრია გამგეობისა, მოხსენების აზრით, ხუთია საჭირო. საბჭომ ეს მოხსენება საორგანიზაციო კომისიას გადასცა. შემდეგ გადაუწყვიტეს ჯამაგირი ქალაქის თავს და გამგეობის წევრებს. პირველს დაუნიშნეს 20,000 მან. და მეორეებს, თითოს—6,000 მან. ქალაქის თავის ჯამაგირი ზოგმა იხვევრა. კასიმ კასიმოვმა (თათ.) სამართლიანად აღნიშნა, რომ ასეთი დიდი ჯამაგრი თვით ევროპაშიაც ძალიან ცოტა ქალაქის თავსა აქვს. ბერლინის ქალაქის თავს, მაგ., სწორედ იმდენივე ჰქონია, რამდენიც ბაქოსას. მერე სად ბერლინი და ბაქო! სხვები ამბობდნენ ცხოვრება ძვირია ბაქოში და კარგი კაცი ნაკლებ ჯამაგირზე არ წამოვაო. სამაგიეროდ, როცა გამგეობის წევრების ჯამაგირზე ჩამოვარდა ლაპარაკი, როგორც მეორე ხმოსანმა მირზა ასადულაევმა (თათ.) სთქვა, ხელად დაივიწყეს სიძვირეც და კაი კაცობაც. რა თქმა უნდა, 6000 მან. ცოტა არ არის, მაგრამ როცა ქალაქის თავს 20,000 მან. უნიშნავ, გამგეობის წევრთა ჯამაგირი ცოტათი მაინც უნდა შეუფარდო ამას. შემდეგ მოხდა არჩევნები გამგეობის ერთი წევრისა—ოვსიანიკოვ-კულიკოვსკისა. კულიკოვსკიმ მიიღო 79 თეთრი და არც ერთი შავი. კულიკოვსკი რაევსკიმ მოიწვია კურსკიდან. მეტს არაფერს წარმოადგენს იგი და დანარჩენ თავის კოლეგებს არაფერით სჯობნის, ხოლო თუ ასეთი რიხით აირჩიეს, ეს მხოლოდ დემონსტრაცია იყო რაევსკის წინააღმდეგ: აი, ხომ ხედავ, ესეც კურსკიდან არის, შენი მოყვანილია, მაგრამ რაკი შენ არა გგავს, ასეთი ამბით ავირჩიეთო.

ბოლოს შეუდგნენ ქალაქის თავის არჩევას. ჯერ ბარათებით დაასახელეს კანდიდატები. რაევსკი დაასახელა 47 კაცმა, ამბობენ—განგებ, რომ მოტყუებულიყო, ყუთი დაედგა და მერე უფრო თვალსაჩინოდ გაეშავებინათ, მაგრამ რაევსკი არ მოტყუვდა, ადგა და განუცხადა კრებას: ვიცი, რომ ბევრი ხმოსანი ჩემი მოღვაწეობის წინააღმდეგია, ამიტომ უარს ვაცხადებ ყუთის დადგმაზე: ხვალ ნამესტნიკთან თხოვნას გავგზავნი სამსახურიდან გადადგომის შესახებაო. ამ რიგად, ამ დღეს არჩევნები აღარ მომხდარა.

ამავე სხდომაზე საბჭომ, ხმ. კასიმოვის წინადადებით, 5,000 მანეთი, გადასდო შიდა რუსეთში დამშეულ გლეხთა გამოსაკვებად.

კიდევ „უცნაური" შენიშვნა

პასუხად დიდად პატივცემულ იაკობ გოგებაშვილს.

დიდად პატივცემული იაკობი ამხანაგთა დავალებით გამოქვეყნებულს ჩემს შენიშვნა-თხოვნას უწოდებს „უსაფუძვლოსა და უსამართლოს", მაგრამ, მე მგონია, ეს აზრი სწორე არ არის და აი რატომ. ამ ჟამად მე წინ მიძევს ოთხი ეგზემპლიარი „Русское слово"-ს პირველი ნაწილისა. მეთექვსმეტე გამოცემას ზედ აზის თარიღი 1908 წ. ხოლო მეთვრამეტესა და მეცხრამეტეს—1910 წ. როგორც ჰხედავთ, ამ გამოცემას ჰყოფს ერთმანეთისაგან მხოლოდ ორი წლის მანძილი, ხოლო მეთვრამეტესა და მეცხრამეტეს ალბათ მხოლოდ რამოდენიმე თვე, რადგანაც გამოცემულია 1910 წელსა. მიუხედავად ამისა ტექსტებში განსხვავება კი ძალიან დიდია, როგორც ქვევით დავინახავთ. მე გამოცდილებით ვიცოდი, რომ სხვა და სხვა დროს გამოცემებში უსათუოდ იქნება წვრილმანი შესწორებანი, ამიტომ წ. კ. წიგნის მაღაზიას ვსთხოვე დაბეჯითებით—გამოეგზავნა ჩემთვის ორმოციოდე ცალი „Р. С." ერთი და იგივე გამოცემა მივიღე. ყველას აწერია თბილისი, 1910 წელი, ხოლო 5 წიგნს „გამოცემა მეთვრამეტე", დანარჩენს „მეცხრამეტე". სამწუხაროდ თვით მეცხრამეტე გამოცემა ორადაა გაყოფილი, თუმცა მათ შუა დიდი განსხვავება არაა. 88 გვერდზე „მოთხრობაში" ზოგან სწერია: „Крестъ онъ держитъ **въ лѣвой рукѣ**", ზოგან კი „въ правой рукѣ". ეს მართლა და უცნაური განსხვავებაა ერთ და იმავე გამოცემაში. როგორ შევპარა, ჩემთვის მიუწვდომელია. თუ ამის სიმართლეში ეჭვი შეგეპაროთ, მიბრძანეთ, ბატონო იაკობ, და წიგნებს გაახლებთ დაუყოვნებლივ. ამ უცნაურ წვრილმანს თავი დავანებოთ.

მეთვრამეტე და მეცხრამეტე გამოცემებს აზის თარიღი 1910 წელი. პირველში—88 გვერდი „Разсказ"-ში სწერია: „Виденъ не весь столъ, а видна только часть его съ одною ножкою". მეორეში კი: „Виденъ не весь столъ, а часть его". ეხლა შევადაროთ მეთექვსმეტე გამოცემა 1908 წლისა და მეთვრამეტე-მეცხრამეტე გამოცემანი 1910 წლისა. მათ შუა არც თუ დროის ისე დიდი მანძილია. 85 გვერდზე სურათის აღწერაში ასეთი ფრაზა: „Онъ стоитъ и держитъ въ правой рукѣ крестъ". მეორეში კი „въ лѣвой рукѣ" (მეთვრამეტე გამოცემაში კი სულ არ არის ეს სტატია). მეორე გვერდზე მოთხრობაში იგივე „въ лѣвой"—„въ правой"-ია. გვერდები 88—90. მოთხრობაშია: „Онъ такъ же, какъ и Ваня, былъ одѣтъ чисто". მეორეში ასეა: „Онъ былъ одѣтъ чисто". გვ. 91—94. სურათის აღწერაშია: „Женщина сидитъ и кормитъ ребенка пищею"—женщина сидитъ на тахтѣ и кормитъ"... იგივე სტატია მეცხრამეტე გამოცემაში შემოვიდება წინადადებით: „На женщинѣ одѣто платье". მეთექვსმეტეში ამას ზედ ერთვის: „Ноги женщины обуты въ туфли. Она—крестьянка, а не горожанка". იმავე მოთხრობაში ზოგან სწერია: „Ребенокъ сидитъ у Тамары", მეორეში—„у матери". მეთექვსმეტე და მეცხრამეტე გამოცემებშია ასეთი წინადადება: „Гребешокъ юноша подноситъ къ волосамъ. волосы у юноши каротkie, а не длинные" ეს ფრაზები სრულებით არ მოიპოვება მე-19-ტე გამოცემაში. ქვევით ზოგან სწერია: „Передъ дѣвочкою шесть куръ"—„цать куръ и одинъ пѣтухъ."—„На ней надѣты рубашка и юбка,"—„на ней надѣто короткое платье." „Позади дѣвочки у стѣнѣ стоитъ метла,"—„позади дѣвочки лежитъ метла" (სურათზე აყუდებია). ამას ზედ ერთვის წინადადება: „По правую руку отъ дѣвочки видили заборъ", პირველში კი არ არის. ქვევით კიდევ: Четыре курицы и два пѣтуха."—„пять куръ и одинъ пѣтухъ". მე იმის შესახებ არაფერს ვამბობ, რომ მრავალტანჯული მღვდელი თავისი სურათის აღწერით და მოთხრობით ხან ჰქრება წიგნიდან და ხან ისევ ჩნდება. ასეთივე ბედი ეწვია მეორე სურათსაც. ასეთი ცვლილება დიდს დანაკლისს არ შეადგენს, შემდეგ სურათზე გადავა მასწავლებელი.

ასე და ამ რიგად, დიდად პატივცემულო ბატონო იაკობ, „Р. С."-ს მესამე ნაწილში თითქმის არც ერთი სტატია არ მოიპოვება, რომ რამე ცვლილებით არ იყოს. გამონაკლისს შეადგენს სტ. „Петя учился". ამაშიც კორექ. შეცდომაა. და ასეთი შეცვლა-გამოცვლა-გამოტოვება ფრაზებისა და სიტყვების ხდება არა ათი წლის მანძილზე, არამედ ორი წლისა—1908 და 1910 წწ., ხან კი ერთ და იმავე წელიწადში 1910 წ. როგორც ზევით მოვახსენე—ერთი შეცდომა-შესულა ერთ და იგივე გამოცემაში. აი ამისთანა „უსაბუთოდ" და „უსაფუძვლო" საბუთებს ვემყარებოდი, როცა ჩემს შენიშვნას ამხანაგთა მინდობილობით ვწერდი. მე სტამბის ტეხნიკის არაფერი გამეგება რა, შეიძლება ასეთი დეფექტები აუცილებელია, მხოლოდ ეს კია, რომ საქმეს ძალიან აბრკოლებს, და ეს აღვნიშნე ჩემს წერილში.

ეხლა დედაენისა და ბუნების კარს დაუბრუნდეთ. ამათშიაც მოიპოვება ამისთანა „დეფექტები", მაგრამ არა ისე ხშირათ და ყოველ სტატიაში, როგორც „Р. С." აი ორიოდე მაგალითი: გამოცემ. 1908 და 1910 წ. გვერდი 144 სტ. „საწერელი": „გორჯილა"—„გვარჯილა". სტ. „ღრუბელი": „შლით მელით დაწერილს"—„შლის ცარცით დაწერილს." „ამხანაგებს (მუშა) აინშნებს, ამიტანეთო" „ამიყვანეთო". ლექსს „ვაშლი" ზოგან სათაურად აქვს „ვაშლი". ზოგან „ვაშლი და მაჭარა". გამოცემანი ოც-და-მესამე და ოც-და-მეოთხე. ორივეს აზის თარიღით 1909 წელი. გვერდები 57 და 61. სტატია მელია და მწყერ-ჩიტაში ასეთი ცვლილებებია: „კარგიო"—„კარგი", „ძალიან"—„ძალიანა". „მწყერ-ჩიტამ აიცდინა, მოხდა ქოთანსა", ხოლო მეორეში კი: მწყერ-ჩიტამ აიცდინა და მოხდა ქოთანსა". სტატია „ძაღლი და ორხაში" სიტყვა „იმდენად", „მაგდენადაა" გადაცვლილი, ან და „თვალი"—„თვალიო, იქვე ერთი სიტყვაა „რომ" და, მეორეში არა და სხვა და სხვა.

თითო-ოროლა ამისთანას შეხვდებით ორივე სახელმძღვანელოს ანბანის ნაწილშიაც. მაგ. 7 გვერდზე ნორმალური სიტყვები თავდება სიტყვით „ოთახი", შემდეგ გამოცემაში ამას მოსდევს სიტყვა „თათო". სამწუხაროდ ჩემდა ამ ჟამად „ბუნების კარიდან" მაგალითები არ მომყავს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემ ხელთ ერთად-ერთი წიგნია. თუ საჭირო იქნება, ვეცდები იქიდანაც მოგაწოდოთ. მაგრამ, მგონი, კმარა ეს მაგალითებიცა.

რა თქმა უნდა ასეთი შეცვლა-გამოცვლა სიტყვებისა და დამატება-გამოკლება თავის თავად არავითარს ცოდვას არ შეადგენს, და მასთან ხანდახ შეიძლება უკანასკნელი რედაქცია პირ-იქით უკეთესიც იყოს პირველზე, მაგრამ აქ მაგარი ის არის, რომ ამ შემთხვევაში სკოლაში საერთო კითხვა ყოვლად შეუძლებელი ხდება და არევ-დარევას იწვევს, და სწორედ ამან გამოიწვია ჩვენი თხოვნა თქვენდამი—ხშირ-ხშირად ნუ იცვლება წიგნები-თქო. სტატიების გამოკლებასა და ახლების ჩამატებას ამ მხრივ მნიშვნელობა არა აქვს.

რაც შეეხება ფასს, მე ისევ ჩემს აზრზე ვადგივარ. პირადადაც თქვენთვის მომიხსენებია და ეხლაც ვიმეორებ, რომ თქვენს წიგნებს დიდს ფასებს ადებენ პროვინციაში: სოხუმში პირველი ნაწილი დედაენისა იყიდება 23—25 კაპ., მეორე ნაწილი კი—55—60 კ. ეს ხდება არამც თუ სოხუმში, სხვაგანაც კი. ამ გარემოებას გამყიდველნი ხსნიან იმით, რომ „ცოტა პროცენტს გვაძლევენო". საგნის მეორე მხარე თქვენ უყურადღებოთ დასტოვეთ. საყურადღებო კია: თქვენი „პატარა მინონსკა" მიუხედავად დაკანონებულ პროგრამებისა უკუღმართ მასწავლებლის ხელში ხშირად მთელი წლობით მარტოდ-მარტო რჩება და ამიტომ იყო, რომ ჩვენ, სოფლის მასწავლებლებმა, გამოვსთქვით სურვილი მას „ჯავშნიანი გემიც" (დედა-ენის მეორე ნაწილიც) თან ახლდეს, კარგი იქნებოდა-თქო: ზოგიერთ სტატიას მასწავლებელი წააკითხებდა, რადგანაც ხელთ ჰქონდა, ზოგს თვით ბავშვი უფროს განყოფილების ბავშვების წაბაძვით თუ სხვა მიზეზით წაიკითხავდა, ზოგს მშობელი წააკითხებდა, და ამგვარად მეტს სარგებლობას მოუტანდა თქვენი წიგნები. თორემ „მინონსკა", ისიც პატარა, საშიშ მღვრიმარეობაში ჩავარდება და ჩავარდნილია კიდეც: მისი ხსნა თქვენ ხელთ არის, ბატონო იაკობ, თუ იხსნით!

თქვენის აზრით, თქვენი სახელმძღვანელების ერთად-ერთ უმთავრესს ღირსებას შეადგენს მათი „ენციკლოპედიური ხასიათი" და მასალის სიმრავლე, დაწინილავებით კი სწორედ ამ ღირსებას უკარგავთ და ამიტომ იმათ, ვისაც მთელი თქვენი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში ებრძოდით, ნაცვლად იარაღს აწვდით თქვენდა დასამარცხებლად და საშვილი-შვილო საქმის საზიანოდ. ვაი თუ თქვენი „მინონსკა" იალბუზზედაც ავიდეს და ჯავშნიანი გემი კი—მეორე ნაწილი—მთის ძირას გაირიყოს! შავბნელი რეაქცია აქეთკენ უთითებს გზასა. საერთო ძალ-ლონეა საჭირო, რომ ამ უკუღმართ გზას ასცდეს სოფლის სკოლა.

ხამუთ-ბეი.

მოწონება

ფუტკრისა და მეფუტკრეობის.

წარსულ შემოდგომაზე დაიბეჭდა კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების მიერ გამოცემული ქართული წიგნი „ფუტკარი და მეფუტკრეობა" ბ-ნ **აპოლონ წულაძისა.** ხსენებული წიგნი განუხილავს იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსებს. ყოვლად სამღვდელოს **გიორგისა და ლეონიდეს** [illegible] ვეს ურჩევია თავიანთ სამწყსოს მღვდლებისთვის შეიძინონ ხსენებული წიგნი. აი რას სწერს ბლაღოჩინებს იმერეთის ეპისკოპოსი:

„ამ რამდენიმე ხნის წინად ქართულად გამოვიდა წიგნი „ფუტკარი და მეფუტკრეობა" შედგენილი აპალონ წულაძის მიერ და გამოცემული კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების მიერ. ამ წიგნს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, როგორც სახელმძღვანელოს ისეთი სასარგებლო სამეურნეო, როგორც მეფუტკრეობაა, რომელსაც სოფლის სამღვდელოებამ უნდა მიაქციოს უდიდესი ყურადღება—უკეთუ ჰსურს თავისი მოწოდების დროზე მაღლა ეჭიროს და ხალხს მოუტანოს საგრძნობელი სარგებლობა სასარგებლო ცოდნის გავრცელებით. ამისათვის ურჩევ სამღვდელოებას ხსენებული წიგნის თითო ცალი მაინც შეიძინოს საეკლესიო ბიბლიოთეკებისთვის.

ეპარქიისა და სამრევლო სკოლების დათვალიერების დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ მეფუტკრეობის წესიერ დაყენებას. წიგნის გამოწერა შეიძლება ქუთაისიდან ისიდორე კვიცარიძიდან ხოლო ტფილისიდან ქარ. შორ. წერ. კითხ. გამავ. საზოგადოების წიგნის მაღაზიისაგან. წიგნი ღირს 80 კაპ."

იმერეთის ეპისკოპოსი **გიორგი.**

ყოვლად სამღვდელო **ლეონიდე** სწერს ბლაღოჩინებს:

„ვცნობ რა სამღვდელოებისა და ხალხისთვის დიდათ სასარგებლოთ ქართულ ენაზე კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების მიერ გამოცემულ წიგნს „ფუტკარი და მეფუტკრეობა"-ს გაძლევთ წინადადებას თითო ცალი ხსენებული წიგნისა გამოუწეროთ რწმუნებულ თქვენდამე ეკლესიებს".

ეპისკოპოსი **ლეონიდე.**

იმავე წიგნის შესახებ ქარ. შორ. წერ. გამავ. საზოგ. ქუთაისის განყოფილებას დაუდგენია თავიანთ ბიბლიოთეკებისთვის გამოიწეროს 20 ცალი და მასთან წიგნის ავტორს წულაძეს სთხოვოს რათა მან შეადგინოს ხალხისათვის ადვილად გასაგები მოკლე სახალხო წიგნაკი მეფუტკრეობის შესახებ, რომელსაც გამოსცემს თვით საზოგადოება.

ჩინეთის რესპუბლიკა

(დეპეშები).

პეკინი. 17 თებერვალს საღამოს ხალხის ბრბომ და გენერალ ცზიანკუეტის ჯარმა ქალაქის დასავლეთ მხარეს დუქნების ძარცვა-გლეჯა დაიწყეს. ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილშიაც ძარცვა-გლეჯაა. მძარცველები გვარდიელები არიან. რომელნიც საზაფხულო სასახლიდან ჩამოვიდნენ. 16 თებერვალს გაძარცვეს ნანკინის დელეგატების სადგომი და ისინი იძულებულნი იყვნენ სასტუმროსთვის შეეფარებინათ თავი. ქალაქში სანოვაგის ნაკლებულობაა. აქა-იქ იუანშიკაის მიმართ საყვედურიც ისმის. პრეზიდენტი დიდ მწუხარებას გამოსთქვამს არეულობის და ძარცვა-გლეჯის გამო და დასძენს: დაზარალებულთა დახმარებით, დამნაშავეებს დავსჯითო.

ტოკიო. „ძიძი-სიმპო" ამბობს, ვაი თუ პეკინიდან მოძრაობა ჩრდილოეთ ჩინეთში გავრცელდეს და უცხოელთა ხოცვა-ჟლეტა დაიწყოსო. გაზეთი პეკინში მდგარ რაზმების გაძლიერებას მოითხოვს.

ურგა. კერძო ცნობები მოვიდა კობდის ოლქში მოძრაობის თაობაზე იტყობინებიან, რომ მონგოლი ყაჩაღები ჩინელ ვაჭრებს დაეცნენ. ასეთი ხმები ჩინელებს საგონებელში აგდებს, ჰყიდიან ყველაფერსა და სამშობლოში გარბიან. ტყუილია, ვითომც მონგოლეთის მთავრობას გერმანიასა და დასავლეთ ევროპაში იარაღის შესაძენად თავისი წარმომადგენლები გაეგზავნოს.

ხარბინი. გუშინ ციციკარის თეატრში გაწვრთნილ ჯარისკაცებსა და საექსპედიციო ჯარისკაცებს ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბი ქუჩაში გადაიტანეს. საღამოს ჩხუბი ძლივს შესწყდა. მეორე დღეს არეულობა განახლდა. ქუჩებში თოფის სროლაა. ხალხი შეშინებულია, დუქნები დაკეტილია. ბევრია დაჭრილი და მოკლული. ეშინიათ, ვაი თუ რევოლუციონერებმა აიღონ ამ დავიდარაბის დროს ქალაქიო.

პეკინში მყოფ სადიპლომატიო მისიის მმართველმა რუსეთის მთავრობას შეუთვალა, ჩინეთის მოსაზღვრე რკინის გზაზე ჩინელებს ნება უნდა მივცე ხუთფეროვან დროშის გამოკიდებისა.

კუანჩენძი. ფულს აგროვებენ სახელმწიფოს სესხისათვის, რომელსაც „სამშობლოს სიყვარული“ ერქმევა. ჯერ ჩაწერილია მხოლოდ რამდენიმე კაცი. გირინიდან ჯარისათვის დიდძალი იარაღი მოვიდა. იაპონიის მთავრობა იუწყება, პეკინის არეულობა ხუნხუზობიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთაგანაა გამოწვეული და ძარცვა-ხლეჯასაც მათ მიჰყვეს ხელიო.

პეკინი. ბაოდინფუში ძარცვა-გლეჯის შემდეგ, ჯარი ექვსის ვაგონით პეკინისკენ გაემგზავრა. მათს დასატყვევებლად ორი ხიდი ააფეთქეს. ამბობენ, ბაოდინფუში 20 უცხოელი მოჰკლესო. დედა-ქალაქში რამდენიმე კაცი ჩამოახრჩეს. მათი თავი მარგილებზეა წამოცმული ქუჩებში.

პეკინი. წუხელის თიანძინის სავაჭრო ნაწილი, უცხოელთა კონცესიების გარდა, მთლად დასწვეს და გაძარცვეს. სატახტო ქალაქში მშვიდობიანობა იყო წუხელის. იუანშიკაიმ სასტიკი ზომები მიიღო ქალაქის დასაცავად. მესამე დივიზიის დანარჩენი ნაწილი ქალაქიდან გაიყვანეს.

გაზეთებიდან

საერთო მდგომარეობა.

ჩინეთის შუა გულის პროვინციათა მდგომარეობა ეხლა გაუმჯობესდა. პეკინში სრული მშვიდობიანობაა. სამხრეთის ქალაქებთან ურთიერთობა აღადგინეს. ნანკინიდან მოსულმა და აქაურმა მთავრობის წარმომადგენლებმა უნდა გადასწყვიტონ შემადგენლობა ახალის მთავრობისა. ამბობენ, ვიცე-პრეზიდენტად ლიუანქუნი იქნებაო. იგი ეხლა უჩანშია და რესპუბლიკის ჯარს წინ უძღვის. „დეილი ტელეგრაფის“ სიტყვით, ვაჭრობაც გამოცოცხლდა. საერთოდ, რევოლუციას იმდენად არავინ დაუზარალებია, რამდენსაც ლანარაკობენ. იუანშიკაი უპირველესად ყოვლისა სახელმწიფოს ქონების მდგომარეობას მიაქცევს გულის ყურსა.

საქმე მხოლოდ განაპირა ქვეყნებშია ცუდად. კულჯაში ისევ სწარმოებს ბრძოლა რესპუბლიკისა და იმპერიის მომხრეებისა. თუ აღმოსავლეთ თურქესტანში ჩინეთმა მშვიდობიანობა ვერ დაამყარა, ამბობენ, რუსეთი ჩაერევა საქმეშიო. მონგოლეთის მთავრობამ დედა-ქალაქად ურგა გამოაცხადა და ბაჟი დაადო ჩინეთის საქონელსა. უარესადაა საქმე მანჯურიაში. აქ ორი საპოლიტიკო პარტია იბრძვის. ეს არაფერი, იაპონიის შიში რომ არ იყოს. უცხოელთა გაზეთები სწერენ, იაპონიას მანჯურიის სამხრეთი ჰსურს დაიპყროსო. „ტაიმსი“ იუწყება, იაპონიის მთავრობამ აშკარად განაცხადა, ჩინეთის რევოლუციონერებს 3 მილიონის მანეთის იარაღი მივყიდეთო, როდესაც რევოლუციონერებმა გაიმარჯვეს. იაპონია გაიძახის ჩინეთში კანონიერი მთავრობა არ არისო და მანჯურიის სამხრეთს თავის გუბერნატორის დანიშვნას აპირებს. გერმანელთა გაზეთები იუწყებიან, იუანშიკაის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელნი ეწვია, გარდა რუსეთისა და იაპონიისაო.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

თეირანი. მაჰმედ-ალიშაჰი ასტრაბადიდან აშურადს წავიდა და ასტრაბადში თავისი ძმა შოა-უს-სალტანე დასტოვა.

ინგლისისა და რუსეთის ქერმანშაჰში მყოფ წარმომადგენლებს დაავალეს სალარ-უდო-დოულეს აცნობონ მაჰმედ-ალის წასვლა და წინადადება მისცენ სპარსეთი მიატოვოს. მთავრობა სალარ-უდ-დოულეს მამულების დაბრუნებას ჰპირდება.

სალარ-უდ-დოულემ ქერმანშაჰი რო აიღო აზამ-უდ-დოულე ჩამოახრჩო, იგი ინგლისის საკონსულოში იყო შეფარებული. დასაჯა სიკვდილით აგრეთვე იტიზადამ-უდ-დოულე სასამართლოს თავმჯდომარე და სხვა დიდებულნი.

ურმია. დოლის ოქრითის სოფელ ბალისტანში ოსმალთა ჯარის ნახევარი როტა მოვიდა. მან ცენზურა დააწესა იმ წერილებისა და კორესპონდენციებისა, რომელიც სოუჯბულაყს იგზავნება.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები.

ქაირი. ტრიპოლის საზღვარზე ბევრი კრიტელი მაჰმადიანი დააპატიმრეს. დაპატიმრებულნი ალექსანდრიას გაჰგზავნეს.

რომი. მთავრობის ცნობით ოსმალეთის ომში აქამდე მოკლულია 37 აფიცერი და 499 ჯარის კაცი, უკვალოდ დაკარგულა ერთი აფიცერი და 323 ჯარის კაცი.

„სტეფანი“ უარჰყოფს „ნეიე-ფრეიე—პრესეს“ ცნობას, ვითომც სლიტანში იტალიელები ოსმალებს დაემარცხებინოთ. ნამდვილად იტალიელებმა ოსმალებს მოაჩვენოს სლიტანში გადასვლა, რადგან მათი ყურადღების დაბნევა ჰსურდათ. „ნეი - ფრაიე - პრესეს“ კორესპონდენტს კი ეს ოსმალთა გამარჯვებად მიუჩნევია.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარეთ.

18 და 19 თებერვალი.

პრეზიდენტის დაპატიმრება.

ბუენოს-აირესი (ამერიკა) პარაგვაის რესპუბლიკის პრეზიდენტი როიასი დააპატიმრეს. დროებით პრეზიდენტად კონგრესმა ჰენა აირჩია.

ინგლისის გაფიცვა.

ლონდონი. მაღაროების მუშები გაფიცვას განაგრძობენ. წესიერება არსად დაურღვევიათ. გაფიცვის გავლენა დღითი-დღე ძლიერდება. ქარხნისა და ნავთსადგურების აუარებელ მუშებს მუშაობის საშუალება არა აქვთ. სანოვაგე ძვირდება. ბევრს ოლქში გაფიცულნი მთავრობას მადლობას უძღვნიან, რადგან პოლიციელთა რაზმი არ გაუგზავნივნია. მუშები აცხადებენ, წესიერებას არსად დავარღვევთო.

სამრეწველო საქმის უფროსმა კომისორმა ასკვიტმა ორშაბათს მრეწველთა საბჭო უნდა მოიწვიოს, ეს საბჭო შარშან დაარსეს დამქირავებელთა და მუშათა უთანხმოების მოსაგვარებლად.

მუშათა დათხოვნა.

ქრისტიანია. სარპობორგში ბორეგოროდის ქარხნიდან 2 ათასი მუშა დაითხოვეს, რადგანაც ნახშირის უქონლობის გამო, მუშაობა შეუძლებელი გახდა.

მუშათა სინდიკატი

ბოხუმი. რურის ოქლის მთამადანთა მუშებს სინდიკატი მოუწოდებს მუშებს, ინგლისელ მუშების გაფიცვის დროს ზედმეტ მუშაობას თავი გაანებეთო. კვირას მუშები დიდი კრების მოხდენას აპირებენ.

გაფიცვა გერმანიაში.

ბერლინი. შიჰაუს გემთა ამგებ ქარხნებში გაიფიცა 6000 მუშა. გაფიცვამ ხელი შეუშალა ორ ახალ კრეისერის აშენებას.

მემანქანის მოკვლა.

ალსირა (ესპანია) წარმოდგენის დროს, კინემატოგრაფში ელექტრონის ნაკადმა მოჰკლა მემანქანე. ხალხი შიშმა აიტანა დაშავებული ბევრია.

უფლებათა მომატება.

ბუქარესტი. პალატამ მოიწონა კანონი, რომლითაც უფლებანი-უფართოვდებათ დობრუჯში მოსახლე 10 ათას რუსს

მაროკოს საქმე.

პარიზი, ტანჟერში მყოფ საფრანგეთის ელჩს რენიოს, რომელიც ფეცს წავიდა, საფრანგეთმა დაავალა ხონთქარს ხელშეკრულება წარუდგინოს, რომელიც საფრანგეთის მაროკოსადმი პროტექტორატს ეხება.

მუშათა კრება.

ესსენი. რეინ-ვესტფალის ქვა-ნახშირის რაიონში მუშებმა 60 კრებამდე გამართეს. კრება ქრისტიან მუშათა კავშირმა მოიწვია და მუშებს ურჩევდა გაფიცვა არ გამოაცხადოთო.

ბოლგარეთის დღესასწაული.

სოფია. დღეს სან-სტეფანის ხელშეკრულების დამტკიცების დღეა და ბოლგარია განთავისუფლებასა დღესასწაულობს.

სუფრაჟისტკების დემონსტრაცია.

ლონდონი. სუფრაჟისტკებმა დიდი დემონსტრაციები გამართეს. ქალთა ჯგუფები ქუჩებში ფანჯრებს ლეწდნენ. ფანჯრები ჩაულეწეს აგრეთვე მინისტრს ასკვიტს. ერთმა ქალმა ახალშენთა უწყების სადგომს რევოლვერი ესროლა. 60 ქალი დააპატიმრეს. დააპატიმრეს აგრეთვე ქალთა მოძრაობის ხელმძღვანელი პანკგორსტი.

ბევრ დაპატიმრებულ სუფრაჟისტებს სასამართლომ სამ-სამის თვის ციხე მიუსაჯა.

რუსეთი

რუსეთ-საფრანგეთის სავაჭრო პალატა.

პეტერბურგი. 18 თებერვალს ვაჭრობის მინისტრის ამხანაგ ბარკის თანადასწრებით შესდგა დამფუძნებელი კრება რუსეთსაფრანგეთის სავაჭრო პალატისა. რუსეთისა და საფრანგეთის მრეწველობის 119 წარმომადგენელი დაესწრო, კრების თავჯდომარემ ავდაკოვმა განაცხადა: პალატის დაარსება ახალი ნაბიჯია, რომელიც რუსეთის საფრანგეთისადმი სიმპატიას აძლიერებსო. პარკმა აღნიშნა: პალატის დაარსება კარგ დროს მოხდა, რადგანაც რუსეთს ახალი კაპიტალი სჭირდებაო.

ნაციონალისტების კრება.

დაიწყო რუსეთის ნაციონალისტთა კრება. პარაკლისის შემდეგ ეპისკოპოსმა ევლოღიმ სიტყვა სთქვა.

მოუსავლობისაგან დაზარალებულთათვის დახმარება.

სარატოვი. რადგანაც ერობამ უარი სთქვა, საქველმოქმედო დახმარებაზე საგუბერნიო საკვები საკრებულომ იკისრა, რომელმაც დამშეულთათვის 154.000 მანეთი გადასდო და სამინისტროს სთხოვა დახმარებისათვის გადადებული დანარჩენი თანხა 262.000 მოაწოდოს.

თეატრი და ხელოვნება

კვირას, 19 თებერვალს, ი. გედევანიშვილის პატივსაცემლად და მის თანადასწრებით დასდგეს იმისი ცნობილი დრამა **„მსხვერპლი“.** ამ პიესის წარმოდგენას ამით მეხუთეჯერ ვესწრებოდით, მაგრამ ჩვენი მისდამი ინტერესი ოდნავაც არ შემცირებულა და დიდ ესტეტიურ სიამოვნებას განვიცდიდით ხოლმე. ასეთია მადლიან შემოქმედებითი ნიჭის მოსჯადოებელი ზეგავლენა. ღრმა დაკვირვება ჩვენი ბეჩავი სოფლის ცხოვრებისა, მისი ავ-კარგიანობის გაუზვიადებელი, ძალდაუტანებელი და ბუნებრივი გადმოცემა, ცხოველი ნიჭით გაშუქებული და მხატვრულ ფორმებში ჩამოყალიბებული,—აი ღირსება ამ ნამდვილ დრამატიულ ნაწარმოებისა.

მაგრამ კვირინდელი წარმოდგენა ღირსებით ბევრით ჩამოუვარდებოდა ამავე პიესის პირველად ვ. შალიკაშვილის რეჟისორობით დადგმულ წარმოდგენას. მაშინ, მაგალითად, მოწყობილ მასიურ სცენებით სოფლის ყრილობის სრულს ილიუზიას იღებდა კაცი. ეხლა კი არ გავიწყდებოდათ, რომ ეს ყრილობა, სადმე ქართლის სოფელში კი არ ხდება, არამედ ეს ჩვენი სტატისტები და არტისტები „თამაშობენ“ ქართულ სცენაზე: არ გადის ნახევარი წუთიც იმის შემდეგ, რომ მამასახლისი გზირს გზავნის ხალხის შესაყრელად და უკვე სცენა ივსება, ისიც ერთბაშათ, უკვე შეკრებილ ხალხით. ლაპარაკის დროსაც ყველა ერთბაშათ აყაყანდებოდნენ და შემდეგ ისრე უცბათ გაჩერდებოდნენ, გეგონებოდათ რუსულ სკოლაში სწარმოებდა ეგრედ წოდებული харорое чтеніе.

მონაწილეთა შორის კარგები იყვნენ, როგორც წინა წარმოდგენებში: ვ. აბაშიძე (საქო), არადელი - იშხნელი (გიგუა), გამყრელიძე (გაბუა)—განსაკუთრებით, ციციშვილი (მამასახლისი). გუნია პირველად ვნახეთ ბოქაულის როლში და თუმცა იმან არც ისრე ზეჯითად იცოდა როლი, მაგრამ მაინც ამ როლის შესაფერი რიხი, სისასტიკე და საზოგადოდ იმისი თამაში ბუნებრივი იყო. ქ. კარგარეთელს უწინ მეტის ხელოვნებით აუსრულებია ნატოს როლი, ეხლა გრძელ პაუზებს აკეთებდა და თამაშსაც უგულობა ეტყობოდა. ვანოს პასუხ საგებ როლში ახლად გამოეყვანათ ბ. ალუდიშვილი, რომელიც თუმცა მოისუსტებდა, მაგრამ როლი არ წაუხდენია და ეტყობა მომავალში შეუძლიან სასარგებლო მსახიობი დადგეს. ქ. ჯავახიშვილის შემდეგ, ქ. ბეჟანიშვილი სუსტად მოსჩანდა მარიამის როლში. ამ საღამოსვე პირველად ვნახეთ ბ. ჟივიძე მიხას როლში და მისი ბუნებრივი თამაში მოგვეწონა. არც ქ. ამირეჯიბს წაუხდენია გოგო-ელენეს როლი. კარგი სტრაჟნიკი იყო ბ. აბდუშელი. ქ. ლეჟავა—(კნ. სონა) ივანოვი (კნ. სოლომონი) ჩერქეზიშვილი (კნ. ბარბარე), ალექსიძე (შაქრო), ზ. საფაროვი (ლუკა) და გრიშაშვილი (თედო) თავ-თავის ადგილას იყვნენ.

ყოველ მოქმედების გათავების შემდეგ საზოგადოება იხმობდა ავტორს ბ. ი. გედევანიშვილს და დიდი ხნის ტაშისკვრით და ვაშას ძახილით აჯილდოვებდა. წარმოდგენის გათავების შემდეგ ზოგიერთ იქ დამსწრეთაგანმა ბ. გედევანიშვილს პატივსაცემად ბანკეტი გაუმართა.

მივაქცევთ სათეატრო ადმინისტრაციის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ღმერთი იწამონ და ცოტა მეტი წესიერება დაიცვან ხოლმე პიესების მსვლელობის დროს მაინც, თორემ შეუძლებელი ხდება კაცმა გულ-დასმით მოისმინოს. ამ წესიერებას უმთავრესად არღვევენ ხოლმე ისინი, ვინც თითქოს საგანგებოთ ამ წეს-რიგის დასაცველად არიან დაყენებულნი.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს. 14 თებერვალს ბირჟის დარბაზში გაიმართა სალიტერატურო საღამო. სხვათა შორის საღამოს პროგრამაში გამოცხადებული იყო, ვითომ მე უნდა მეთამაშა ლეკური, ამით ვაცხადებ, რომ ჩემთვის არც არავის უთხოვია მონაწილეობის მიღება, არც თანხმობა განმიცხადებია და არც შემეძლო დავთანხმებულიყავი, რადგანაც მგლოვიარეთა ვარ. ვაცხადებ რა ამას, არ შემიძლიან ჩემი საყვედური არ გამოუცხადო საღამოს გამმართველებს, რომელნიც ასე უცერემონოდ მომექცნენ.

თ. დიდია.

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

ბ-ნ გ. ჯილაურის წერილის პასუხად, რომელიც დაბეჭდილი იყო თქვენი გაზეთის მე-529 ნომერში, კვირას 19 თებერვალს, პატარძეულიდან, საჭიროდ მიმაჩნია მოვახსენო ყველა იმ კერძო მემამულეებს და სოფლის საზოგადოებებს, რომელთა მამულზე გაივლის კახეთის რკინის გზის ლიანდაგი, რომ მათ მიერ 1910 წელს შემოდგომაზე **სათავად-აზნაურო კომისიისათვის მიცემულ პირობის ქაღალდებს (ხელშეკრულებას) აქვთ სრული კანონიერი და იურიდიული ძალა.**

თავ. ლილო ანდრონიკაშვილის, კ. პ. ანდრეევის, კ. ი. ტყავაძის და ნ. ახმეტელოვის მტკიცება უსაფუძვლოა. დაწვრილებით ცნობებს ამ საქმის თაობაზე დაინტერესებულ პირთ ამ დღეებში მივაწვდი.

გაზეთ „თემის“ გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო ცნობა, ვითომც განეძრახათ ჩემი დანიშვნა კახეთის რკინის გზის გამგეობის დირექტორად. ეს ცნობა სრულებით არ შეეფერება სიმართლეს: კახეთის რკინის გზის გამგეობის დირექტორად არავის განუძრახავს ჩემი დანიშვნა, მით უმეტეს, რომ თავისუფალი ადგილი ამ გამგეობაში არ მოიპოვება.

თ. დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—II კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/60, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან; 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—III კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში [illegible] მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებოს საქმისათვის. [illegible] მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი.
(თ. 1646.2[illegible])

№ 4711
სქელი პუდრი
კანს ხავერდისავით ანაზებს და ალამაზებს
ფერდ. მიულჰენსი
კოლოფი 30 კაპ.
პარფიუმერია № 4711
ჩისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.



Ме'цъ 28846
(7—1063—4)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:

ბლაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ, ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.
(100—1615—26)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.19)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
✦ წელიწადი მერვე. ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●● —
— ●● **ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **ქ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-5 ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—3[illegible] წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.